საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 110 (6487) 15 ნოემბერი პარასკევი ფასი 5 კაპიკი

## გამოიწერეთ

დაიწყო და ყველა საფოსტო განყოფილებაში მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალი 1992 წლისათვის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“.

რესპუბლიკაში ქაღალდის მწვავე დეფიციტის, გაზეთის მომზადებისათვის საჭირო სხვა მასალების გაძვირების გამო მოიმატა ხელმოწერის ფასმა და წლით ხელმოწერის ფასია 10 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—5 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმოწერა მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის“ რაიონულ განყოფილებასა და კავშირ გაბმულობის რაიონული კვანძის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“. იგი თქვენი მშობლიური გაზეთია და თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

## პრეფექტურაში

## დავიცვათ ბუნება ხელყოფისაგან

რაიონის პრეფექტის კაბინეტის სხდომამ განიხილა საკითხი „ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობაში ტყის ჭრის დაცვისა და ექსპლოატაციის მდგომარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო სატყეო მეურნეობის კუთვნილ ტყეებში სისტემატური ხასიათი მიიღო ტყის დაცვისა და ექსპლოატაციის უხეშმა დარღვევებმა.

განსაკუთრებით გახშირდა უნებართვო ჭრები. მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ტყეებში უნდა ტარდებოდეს მხოლოდ სანიტარული და მოვლითი ჭრები, ადგილი აქვს ახალგაზრდა, სანი ხე—მასალის ჭრას. იჭრება დიდი რაოდენობით ხე-მასალა, რომლის დიამეტრი 12-დან 28 სანტიმეტრამდე მერყეობს, რის შედეგადაც ნადგურდება ახალგაზრდა მცენარეები, ილუპება მომავალი ტყის მასივები.

ტყეებში ადგილი აქვს ჩახერგილობებსა და გაუწმენდაობებს, ალაგ-ალაგ შეინიშნება ფანჯრები.

აღნიშნულ დარღვევებს მეტნაკლებად ადგილი აქვს სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ხუთივე სატყეო უბანში.

კომისიის მიერ შემოწმების შედეგად განსაკუთრებით რთული მდგომარეობა აღმოჩნდა ცაგერის სატყეო უბანში (უფროსი ჯ. ჩორგოლიანი), სადაც „წიფლნარის“, „საქერიის“ და „ახალჭალის“ სამცველოებში გამოვლინდა 102 ძირი უნებართვოდ მოჭრილი ხე 110 კუბური მეტრის რაოდენობით. აღნიშნული სატყეო უბნის ტყეკაფებში ადგილი აქვს ხე-ტყის მასიურ ჭრას სუბალპურ ზონაში, უშუალოდ ალპური ზონის საზღვარზე. უბანში არ მოქმედებს საკონტროლო ხერგილი, რის გამოც არ ხდება ტყიდან გამოტანილი ხე-ტყის სრული აღრიცხვა.

ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის დაცვის სამსახურის მიერ სექტემბრის თვეში შემოწმებულ იქნა ორბელის სატყეო უბნის ე. წ. „თაბორლების ყანის“ № 103 კვარტალი, სადაც აღმოჩნდა 30 ძირი უნებართვოდ მოჭრილი წიფელი და რცხილა, ხოლო აგვისტოს თვეში ჩატარებული შემოწმების შედეგად ზუბის სატყეო უბნის „აგარაკისლარში“ უნებართვოდ მოჭრილი 17 ძირი წიფლისა და 18 ძირი წაბლის ხე. დარღვევებია ორბელისა და ტვიშის სატყეო უბნებშიც.

რაიონის ტყეებში ხე-ტყის უნებართვოდ ჭრების აღკვეთის მიზნით პრეფექტის განკარგულებით დაევალა ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექციას უზრუნველყოს ოპერატიული ღონისძიებების გატარება თავის დაქვემდებარებაში არსებულ ტყეებში ტყის დაცვისა და ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად. უმოკლეს ვადაში მოაწყოს ხერგილები, შეიმუშაოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხე-ტყის უნებართვოდ ჭრების აღკვეთას.

პრეფექტურის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამსახურმა სისტემატური კონტროლი გაუწიოს რაიონში ტყის დაცვისა და ექსპლოატაციის მდგომარეობას, მიმდინარე წლის ბოლომდე შეამოწმოს ზუბის, ტვიშის, ორბელის და ქულბაქის სატყეო უბნებში ტყეების დაცვისა და ექსპლოატაციის მდგომარეობა და მასალები წარმოადგინოს რაიონის პრეფექტურაში.

ეცნობოს საქართველოს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ტყეებში ტყის დაცვისა და ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევების შესახებ.

დაევალოს გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციას რაიონში ტყის დაცვის და ექსპლოატაციის მდგომარეობის შესახებ მასალების სისტემატური გაშუქება.

## მრეწველობა

## საწარმო ფინანსურ კრიზისს განიცდის

ახლა ფინანსური კრიზისი, ხელფასების გაუცემლობა, ნედლეულის მიწოდებაში წყვეტილობა თითქოს აღარავის უკვირს, რადგან ცენტრის მიერ ეკონომიკურ ბლოკადაში მყოფი ჩვენი რესპუბლიკა ყველა რგოლში მეტისმეტ გაჭირვებას განიცდის. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა და ამ თემაზე ესაუბრა ადგილმრეწველობის მთავარ ინჟინერს მზია ახვლედიანს:

მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდის ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატი, რომლის ძირითადი პროდუქცია თეთრეულის—საბნისა და ბალიშის შალითებისა და ზეწრების კერვა იყო. მაგრამ იმის გამო, რომ ნედლეული არა გვაქვს, საწარმო მწვავე ფინანსურ კრიზისს განიცდის.

მიმდინარე წლის 10 თვე დასრულდა, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 50 პროცენტით, რეალიზაციისა—52 პროცენტით. მოგებამ მხოლოდ 30 პროცენტი შეადგინა, ყოველივე ეს ნედლეულის უქონლობის შედეგია. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მუშახელი დასაქმებული გვყავდა თვეში მხოლოდ 3—4 დღე. ადგილი აქვს ხელფასების დაგვიანებით გაცემას.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა ამჟამად მეტისმეტად მძიმე და კრიზისულია, მაგრამ უფრო მეტად სავალალო ისაა, რომ ვერ ვხედავთ უახლოესი პერიოდისათვის მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზას, მომწოდებელი, რომელიც ნედლეულით გვამარაგებდა, ცენტრის მიერ გამოცხადებული ბლოკადის გამო, ამჟამად თვითონ ვერ ღებულობს ნედლეულს. ხოლო გაცვლით ოპერაციებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გასაცვლელად თხოულობენ ისეთ მასალებს (რკინა, სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები), რომლის გატანა რესპუბლიკიდან სასტიკად აკრძალულია.

ჩვენ მარტო არა ვართ ამ დღეში, ანალოგიურ მდგომარეობაშია რესპუბლიკის მთელი რიგი სამრეწველო დაწესებულებები, მიუხედავად ამისა, კომბინატის ხელმძღვანელობა ეძებს მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. სულ სამი თვეა, რაც ადგილობრივი რესურსების ბაზაზე კომბინატში ხე-ტყის დამმუშავებელი საამქრო შეიქმნა, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე ნორმალურად ფუნქციონირებდა. მაგრამ იმდენად მცირეა საამქროს წარმადობა, რომ არ შეუძლია კომბინატის ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონიოს. სულ საამქროს მიერ (ხელმძღვანელი ბადრი ფუტკარაძე) გამოშვებულია 28 ათასი მანეთის პარკეტის ნახევარფაბრიკატი, რომელიც დაკვეთით დამზადდა და რეალიზებულ იქნა სხვადასხვა ქალაქებში.

ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად ისე გავაფართოოთ აღნიშნული საამქროს წარმადობა, რომ სამომავლოდ კომბინატს რაღაც პერსპექტივა მაინც შეექმნას.

მოსავალი —91

## რთველის დასკვნითი ეტაპი

შუა ნოემბერია, ზამთრის მოლოდინში გარინდულა ბუნება, ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, რომ მოახლოებულ ზამთარს მოსავალი დაუბინავებელი არ დაახვედრონ. რთველის დასკვნითი ეტაპია ლეჩხუმში, კიდევ კარგი, რომ ამ უშაქრობის დროს ყურძნის შაქრიანობა მაღალია. ამას ყურძნის ფასების მომატება დაემთხვა და ჩვენი მშრომელები გადიდებულ ანაზღაურებას ღებულობენ.

ისევ და ისევ ორბელელ ჩამბარებლებზე გვინდა პირველ რიგში ვთქვათ: კარგი მეურნე, მარჯვენადალოცვილი მევენახეა ორბელელი **ბიჭიკო გურგუჩიანი**, მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით უვლიდა მიმდინარე წელს გაპიროვნებულ ნაკვეთს, დროზე ჩაუტარა ვაზს ყველა მოვლითი ოპერაცია და მოსავალიც სარეკორდო მოიწია, მაღალ ანაზღაურებას არ დაუბრმავებია და ყურძენი სხვაგან არ წაუღია, ორბელის ღვინის საწარმოს 2500 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი მიჰყიდა, კილოგრამში 3 მანეთი აუნაზღაურეს და 7500 მანეთი შემატა ოჯახურ ბიუჯეტს. მისი თანასოფლელია **ნოდარ გვიშიანი**. ვაზზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს დაუფასდა შრომა, ვენახის ნაკვეთში 1500 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი მოიწია და საზღაურად 4350 მანეთი მიიღო. განთქმულმა მევენახემ კაპიტო სილაგაძემ, 2300 კილოგრამი ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი მიჰყიდა ორბელის ღვინის საწარმოს და კილოგრამში 2 მანეთი და 40 კაპიკი აუნაზღაურეს, ასე რომ, სულ 5520 მანეთი მისცეს.

ჩხუტელელმა **დადაში მურცხვალაძემ** წლის მოსავალი—1234 კილოგრამი ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი მიუწონა ცაგერის ღვინის საწარმოს, ამავე სოფლის მკვიდრმა **ვლასი სვანიძემ**—1170 კილოგრამი, **დესიკო ქარსელაძემ**—1170 კილოგრამი, ქვედა ცაგერელმა **როსტომ სალინაძემ**—1809 კილოგრამი. ჰალისთაველმა **სერიოჟა გუგავამ**—1000 კილოგრამი, ლასურიაშელმა **კობა მუშკუდიანმა**—1491 კილოგრამი.

14 ნოემბრის მდგომარეობით სულ რაიონში 1235 ტონა ყურძენია ღვინის საწარმოში მიტანილი. აქედან 648 ტონა მიღებული აქვს ორბელის ღვინის საწარმოს, 220 ტონა ოყურეშის ღვინის საწარმოს, 232 ტონა ტვიშის საწარმოს, 135 ტონა—ცაგერის ღვინის საწარმოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების საარჩევნო უბნები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში კომუნისტური პარტიისაგან წარდგენილი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, ახლის არჩევნებისათვის 1991 წლის 29 დეკემბერს დანიშნული არჩევნებისათვის ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად შექმნეს საარჩევნო უბნები; მათ შორის:

### ტვიშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ორხვის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი ორხვის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ტვიშის სოფლის საკრებულოს არჩევნების ორხვის № 1 საარჩევნო ოლქის №1, №2 და №3 ნაწილები, №2 საარჩევნო ოლქის №2 და №3 ნაწილები.

#### ტვიშის საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი ტვიშის საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ტვიშის სოფლის საკრებულოს არჩევნების № 3 საარჩევნო ოლქის №3 ნაწილი და №4 საარჩევნო ოლქის № 1 ნაწილი.

### ალპანის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ზოგიშის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ალპანის სოფლის საკრებულოს არჩევნების ზოგიშის № 3 საარჩევნო ოლქის №1 და №2 ნაწილები და ცაგერას № 4 საარჩევნო ოლქის № 1 ნაწილი.

#### საირმის საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი საირმის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ალპანის სოფლის საკრებულოს არჩევნების საირმის № 5 საარჩევნო ოლქის №2 და №3 ნაწილები, № 6 საარჩევნო ოლქის № 2 ნაწილი.

### ლაილაშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ლაილაშის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი ლაილაშის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ლაილაშის სოფლის საკრებულოს არჩევნების ლაილაშის № 1 საარჩევნო ოლქის № 1, № 2 და № 3 ნაწილები. № 2 საარჩევნო ოლქის № 3 ნაწილი და №3 საარჩევნო ოლქის №3 ნაწილი.

#### თაბორის საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი თაბორის არასრული საშუალო სკოლის შენობა, დასახლებული პუნქტები: თაბორის № 4 საარჩევნო ოლქის № 1 და № 2 ნაწილები.

#### სურმუშის საარჩევნო უბანი № 3

ცენტრი სურმუშის დაწყებითი სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: სურმუშის № 5 საარჩევნო ოლქის № 2 და № 3 ნაწილები.

### ორბელის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ლაცორიის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი ა. გელოვანის სახლ-მუზეუმი. დასახლებული პუნქტები: ორბელის სოფლის საკრებულოს არჩევნების ლაცორიის № 1 საარჩევნო ოლქის № 4 ნაწილი.

#### ლაჯანის საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი—ლაჯანის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ორბელის სოფლის საკრებულოს არჩევნების ლაჯანის № 2 საარჩევნო ოლქის №1, № 2 და № 3 ნაწილები, № 3 საარჩევნო ოლქის № 1 ნაწილი.

#### ორბელის საარჩევნო უბანი № 3

ცენტრი ორბელის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ორბელის სოფლის საკრებულოს არჩევნების ორბელის № 4 საარჩევნო ოლქის № 1 ნაწილი. ორბელის № 5 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი. ორბელის № 6 საარჩევნო ოლქის № 1 და № 2 ნაწილები.

#### წილამიერის საარჩევნო უბანი № 4

ცენტრი წილამიერის კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები: ორბელის სოფლის საკრებულოს არჩევნების წილამიერის № 7 საარჩევნო ოლქის № 3 ნაწილი.

### უსახელოს სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### უსახელოს საარჩევნო უბანი

ცენტრი უსახელოს საექიმო უბნის შენობა. დასახლებული პუნქტები: უსახელოს სოფლის საკრებულოს არჩევნების № 2 საარჩევნო ოლქის № 3 ნაწილი, № 5 საარჩევნო ოლქის № 1 და № 2 ნაწილები.

### ღვირიშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ღვირიშის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი ღვირიშის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ღვირიშის სოფლის საკრებულოს არჩევნების ღვირიშის № 1 საარჩევნო ოლქის № 2 ნაწილი. ზედა ღვირიშის № 2 საარჩევნო ოლქის № 1 და № 3 ნაწილები.

#### უცხერის საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი უცხერის კლუბი. დასახლებული პუნქტები: ღვირიშის სოფლის საკრებულოს არჩევნების № 3 საარჩევნო ოლქის № 2 და № 3 ნაწილები.

#### ნასპერის საარჩევნო უბანი № 3

ცენტრი ნასპერის კლუბკანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ღვირიშის სოფლის საკრებულოს არჩევნების № 5 საარჩევნო ოლქის № 1 ნაწილი.

### ნაკურალეშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ნაკურალეშის საარჩევნო უბანი

ცენტრი ნაკურალეშის სოფლის საკრებულოს შენობა. დასახლებული პუნქტები: ნაკურალეშის სოფლის საკრებულოს არჩევნების ნაკურალეშის №1 საარჩევნო ოლქის №1 და №2 ნაწილები. №2 საარჩევნო ოლქის №3 ნაწილი. №3 საარჩევნო ოლქის №1 და №3 ნაწილები.

### ალვის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ალვის საარჩევნო უბანი

ცენტრი ალვის საკრებულოს შენობა. დასახლებული პუნქტები: ალვის სოფლის საკრებულოს არჩევნების ალვის №1 საარჩევნო ოლქის №1 და №3 ნაწილები, №2 საარჩევნო ოლქის № 3 ნაწილი, № 3 საარჩევნო ოლქის № 2 და №3 ნაწილები, №4 საარჩევნო ოლქის №3 ნაწილი.

### ლასურიაშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### მახაშის საარჩევნო უბანი №1

ცენტრი მახაშის არასრული საშუალო სკოლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ლასურიაშის სოფლის საკრებულოს არჩევნების მახაშის №1 საარჩევნო ოლქის №3 ნაწილი.

#### დეხვირის საარჩევნო უბანი №2

ცენტრი დეხვირის სოფლის კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები: ლასურიაშის სოფლის საკრებულოს არჩევნების დეხვირის №5 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი, ლესინდის №6 საარჩევნო ოლქის №1 და №3 ნაწილები.

### ლუხვანოს სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ლუხვანოს საარჩევნო უბანი

ცენტრი ლუხვანოს საკრებულოს შენობა. დასახლებული პუნქტები: ლუხვანოს სოფლის საკრებულოს არჩევნების ზარაგულის №1 საარჩევნო ოლქის №1 და №2 ნაწილები. ქვედა ლუხვანოს №2 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი. ქვედა ლუხვანოს №3 საარჩევნო ოლქის №1 და №3 ნაწილები. სოფელ ზედა ლუხვანოს №4 საარჩევნო ოლქის №2 და №3 ნაწილები.

### წიფერჩის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### წიფერჩის საარჩევნო უბანი №1

ცენტრი წიფერჩის კულტურის სახლის შენობა. დასახლებული პუნქტები: წიფერჩის სოფლის საკრებულოს არჩევნების ბარდნალის №1 ოლქის №1 და №4 ნაწილები და ლარჩვალის№3 ოლქის №1 ნაწილი.

#### ჩქუმის საარჩევნო უბანი №2

ცენტრი ჩქუმის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები: წიფერჩის სოფლის საკრებულოს არჩევნების ჩქუმის №4 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი და ქულბაქის №5 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი.

### ზუბის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ზუბის საარჩევნო უბანი №1

ცენტრი ზუბის სასოფლო კლუბის შენობა. დასახლებული პუნქტები: ზუბის სოფლის საკრებულოს არჩევნების ზუბის №1 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი, №2 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი და №3 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი.

#### მახურის საარჩევნო უბანი №2

ცენტრი მახურის სოფლის კლუბი. დასახლებული პუნქტები: მახურის №5 საარჩევნო ოლქის №2 და №3 ნაწილები.

### ოყურეშის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ოყურეშის საარჩევნო უბანი

ცენტრი ოყურეშის საკრებულოს შენობა. დასახლებული პუნქტები: ოყურეშის №1 საარჩევნო ოლქის №2 და №3 ნაწილები, №4 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი, ოფიტრის №5 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი.

### ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი №1

ცენტრი ქვედა ცაგერის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები: ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს არჩევნების ქვ. ცაგერის №5 საარჩევნო ოლქის №2 და № 3 ნაწილები, №3 ოლქის № 1 ნაწილი, № 4 ოლქის №1 ნაწილი № 2 საარჩევნო ოლქის № 1 და № 3 ნაწილები.

#### ჩხუტელის საარჩევნო უბანი №2

ცენტრი ჩხუტელის კოლმეურნეობის კანტორის შენობა. დასახლებული პუნქტები №7 ოლქის №1 ნაწილი.

### ქალაქ ცაგერის საკრებულოს არჩევნებისათვის

#### ქალაქ ცაგერის საარჩევნო უბანი

ცენტრი ცაგერის კულტურის სახლის შენობა. დასახლებული პუნქტები: ქალაქ ცაგერის საკრებულოს არჩევნების №1 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი, ჭავჭავაძის №2 საარჩევნო ოლქის №1 ნაწილი, თავისუფლების №3 საარჩევნო ოლქის № 3 ნაწილი, დავით აღმაშენებლის №6 ოლქის №1 და №3 ნაწილები, ლესელიძის №7 საარჩევნო ოლქის №2 ნაწილი.



უკვე 110 წელია ნებისმიერ ამინდში უცვლელ ვახტს ეწევა ბათუმის შუქურა. გასულ საუკუნეში აინთო მისი ათასსანთლიანი ნავთის ლამპა. ახლა შუქურაზე თანამედროვე საიმედო ოპტიკური მოწყობილობა დგას. საქართველოს ნაოსნობის მთავარი საზღვაო ჭიშკრის „შუქნიშანს“ მისი ხმელეთელი მოძმეებისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი სიგნალი აქვს—ნების დამრთავი.

სურათზე: ძველი შუქურის შუქი ცნობილია ბათუმის პორტში შემომავალი ბევრი სახელმწიფოს ხომალდებისთვის.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

## თბობის სეზონი დადგა, როგორ მოვემზადეთ?

აცივდა, მთებზე უკვე ჩამოთოვა. ზამთარი თანდათან გვიახლოვდება. ნორმალური მუშაობისათვის უკვე საჭიროა ჩავრთოთ თბობის სისტემა.

1991-1992 წლების თბობის სეზონისათვის მოსამზადებლად რაიონის პრეფექტურამ, საკრებულოებმა, სატყეო მეურნეობებმა, მრავალდარგობრივმა საბინაო კომუნალურმა მეურნეობამ, წარმოება-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს. დროულად განაწილდა გამოყოფილი შეშის ფონდები, გაძლიერდა კონტროლი შეშის დამზადებასა და დროულად შემოზიდვაზე. წელს რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი იყო 2620 კუბური მეტრი შეშა, აქედან სახელმწიფო სატყეო მეურნეობამ დაამზადა და დანიშნულ ობიექტებში შეზიდა 1560 კუბური მეტრი, ხოლო საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობამ ნაცვლად 920 კუბური მეტრისა 1028 კუბური მეტრი. შეშის შეზიდვა გრძელდება.

საკმაო რაოდენობის შეშა შეიზიდა სკოლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში, ჯანმრთელობის დაწესებულებებში, ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში და სხვა ობიექტებში. სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფილი არიან ცაგერის, ლვირიშის, ზუბის საშუალო, ლაჯანის სკოლა-ინტერნატის, ქვედა ცაგერის, ნასპერის, ლუხვანოს, ალვის, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლები და რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები.

გარკვეული ღონისძიებებია გაწეული ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის საქმეში. რაიონულ საავადმყოფოში მოწესრიგებულია საქვაბე მეურნეობა და თბოქსელი, რომელიც შეუფერხებლად იმუშავებს.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ შეაკეთა ქალაქის ცენტრალური საქვაბე მეურნეობა და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40-ბინიანი სახლის საქვაბე. ასევე წესრიგში იქნა მოყვანილი სასტუმრო „ლეჩხუმის" საქვაბე მეურნეობა.

### სიძნელეები იქნება

გაერთიანების ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ სამივე საქვაბე შეუფერხებლად იმუშავებს მთელი სეზონის განმავლობაში.

ზამთრის სეზონისათვის მზადების საქმეში ერთგვარ მიღწევებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებები. ხარვეზებია რაიონში არსებული თბოსისტემის ობიექტებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის მხრივ. გულსატკენია, რომ მწყობრიდან არის გამოსული და არ მუშაობს ოყურეშის, ზუბის, ლასურიაშის, ბარდნალის საშუალო, ლუხვანოს, ჩქუმის, ალვის არასრული საშუალო სკოლების, ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობები. დაზიანებულია პროფსასწავლებლის საერთო საცხოვრებლის და სამუსიკო სკოლის ცენტრალური გათბობის შიდა გაყვანილობა.

რაიონის ბევრი დაწესებულება, ორგანიზაცია, სკოლები საქვაბე მეურნეობის ექსპლოატაციისათვის არასაიმედო მდგომარეობის გამო იძულებული არიან ზამთრის პერიოდში ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისათვის ღუმელებით ისარგებლონ, მაგრამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ვერ ახერხებს მათ დამზადებას და წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები იძულებული არიან საფინანსო წესის დარღვევით, კერძოდ შეიძინონ თუნუქის ღუმელები თვით ამ სისტემის მუშაკებისაგან.

რაიონის ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებასა და ორგანიზაციაში არასრულყოფილია სათბობი მასალებით მომარაგების მდგომარეობა, სასტუმრო „ლეჩხუმში", რაიონულ საავადმყოფოში, ჩხუტელის, ტვიშის საშუალო სკოლებში, ცაგერის №2 ბაგა-ბაღში წელს ზამთრის სეზონისათვის ჯერ-ჯერობით არ შემოტანილა ნახშირი.

დღეისათვის საჭირო სათბობის მარაგი არ აქვთ ორბელის, ლაილაშის, ლასურიაშის, ბარდნალის, ოყურეშის საშუალო, საირმის, უსახელოს, ზოგიშის არასრულ საშუალო და ზოგიერთ დაწყებით სკოლას. შეშით მომარაგების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა ვეტსამკურნალოში, დამზადების გაერთიანებასა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში.

სერიოზული სიძნელეები არის შექმნილი მინის დეფიციტის გამო. სულ რაიონის სხვადასხვა ობიექტებისათვის საჭიროა 700-800 კვადრატული მეტრი მინა. ზამთარში რომ სწავლების ნორმალური პირობები შეიქმნას, სასწრაფოდ უნდა გადაიხუროს ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის შენობა, უნდა შეკეთდეს დეხვირის არასრული საშუალო სკოლის შენობის სახურავი, გამაგრდეს სკოლის შენობის საძირკვლის ერთი ნაწილი. დასაჩქარებელია ცაგერის სამუსიკო სკოლის შენობის კაპიტალური რემონტის, ჩხუტელის სასოფლო კლუბის მშენებლობის, სოფელ მახაშის კლუბის გადახურვის სამუშაოები. შეკეთებას საჭიროებს ლუხვანოს ბაგა-ბაღის შენობის სახურავი.

რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო სერიოზული სიძნელეებია პირველი მოთხოვნილების საქონლით მოსახლეობის მომარაგების საქმეში. ზამთრის მარაგიდან რაიონში შემოზიდულია 380 ტონა პური ნაცვლად 415 ტონისა. შემოზიდულია გამოყოფილი 100 ტონა ნავთი.

ცაგერის მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანებას ცენტრალური და 40 ბინიანი საქვაბის თხევადი საწვავის მარაგი შეუძლია გააკეთოს 120 ტონის, დღეისათვის შემოზიდულია 80 ტონა, ამ დღეებში შემოიზიდება 40 ტონა, მაგრამ ეს მხოლოდ 20-25 დღის მარაგია. გაერთიანების ხელმძღვანელები იძლევიან გარანტიას, რომ თუ ქუთაისის ნავთობბაზას ექნება თხევადი საწვავი, მის შემოზიდვას უზრუნველყოფენ და გათბობის სისტემა არ შეფერხდება.

წელს კარგი საქმე გაკეთდა, მთლიანად შეიცვალა ალპანა-ცაგერის ელექტროგადამცემი მაღალი ძაბვის მაგისტრალი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების [illegible]ბის ელექტროენერგიით მომარაგებას, მაგრამ [illegible] სარემონტო სამუშაოები ვერ ჩაუტარდა რაიონის სოფლების ელექტროგადამცემ ხაზებს საჭირო მასალების უქონლობის გამო, წყვეტილობაა მოსალოდნელი ზამთრის სეზონში ელექტროენერგიის მიწოდებაში, რაც მოსახლეობის გულისტკივილს გამოიწვევს. ამასთან რაიონის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მოსახლეობაში ელექტროენერგიის გამოყენებაში არის უხეში დარღვევები. ბევრგან გათბობის მიზნით ხმარობენ კუსტარულად ნაკეთებ ელექტროგამახურებლებს. რაც იწვევს ელექტროგადამცემი ხაზების გადატვირთვას, ზოგჯერ ქვესადგურის მწყობრიდან გამოყვანას.

სიძნელეებისა და პრობლემების წინაშე დგას ზამთრის სეზონისათვის კავშირგაბმულობის სამსახური. კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს არ გააჩნია არავითარი რეზერვი კაბელისა და საყრდენი ბოძის სახით ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი ავარიების სალიკვიდაციოდ. ამ საქმეში მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიოს რაიონულ კვანძს ქუთაისის მაგისტრალურმა ტექნიკურმა კვანძმა.

დასამალი არ არის, რომ სერიოზული სიძნელეები გვექნება ზამთრის პერიოდში, რომელთა დაძლევისათვის მობილიზებული უნდა იყოს ყველა საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, თითოეული ადამიანი, ყაირათიანად და ეკონომიურად უნდა ვხარჯოთ და გამოვიყენოთ საწვავი, ელექტროენერგია, გაზი, კვების პროდუქტები.

ვლ. დავითულიანი.

## ღია წერილი

### შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების მუშაკებს

ყველამ ვიცით, რომ თქვენი შრომა დიდია და განუსაზღვრელი, ხოლო თქვენი გზა საბრძოლო, ისიც ასეთ დაძაბულ ვითარებაში.

ხალხი მუდამ ნდობით და პატივისცემით ახსენებდა და ახსენებს თქვენს სახელს, მაგრამ ხანდახან შეცდომები ხდება, ზოგი უნებლიედ და ზოგიც უყურადღებობით, ვაი, რომ გულგრილობითაც.

ამ ერთი თვის წინ სოფელ უცხერში მცხოვრებ ნათელა ნემსწვერიძეს სახლის კარები უდროო დროს შეუღო ნასვამმა, ჯერ კიდევ თვრამეტ წელს მიუღწეველმა მამუკა ნემსწვერიძემ. მან ქალს ფული მოსთხოვა და ძალაც იხმარა — ასე დაირხა ხმები.

თქვენ, შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები იმ ღამესვე იყავით საქმის კურსში (?!) თუმცა საქმე არ გაგიკეთებიათ.

თქვენ „გაგექცათ" „ყაჩაღი მამუკა" (?!) „გაგექცათ", ეძებეთ, ეძებეთ და „ვერ იპოვეთ," „თურმე დიდი ბანდიტი" ყოფილა. „ცამ უყო პირი თუ მიწამ, ვერ გაიგეთ"!

მაინც რამდენი „შრომა და გარჯა" ჩაგეყარათ წყალში. ამას ჰქვია ბედის დაცინვაც! კაცი ამდენს „იშრომებ, იწვალებ" და შედეგს ვერ მიიღებ.

დიახ.. თქვე კაი ხალხო, ცოტა მართლაც რომ გარჯილიყავით, ასეთი ტრაგედია არ დატრიალდებოდა.

დაიღუპა სასტიკად ნაცემი, ნაწამები ჭაბუკი მამუკა ნემსწვერიძე, რომელიც 18 წლისა გაისად თებერვალში გახდებოდა. დაიღუპა ოჯახი, რომლის სანთელი მამუკა იყო.

დიდია ტკივილი, რომელიც მის მშობლებს კი არა, მეც არასდროს მომიშუშდება, რით იმართლებთ ნაწამები მამუკას სულის წინაშე თავს? რა გააკეთეთ, რომ ეს არ მომხდარიყო? ტრაგედია მარტო მამუკათი ხომ არ დამთავრებულა.. მეორე მხარეს ოთხი ჭაბუკია, რომლებსაც კანონით დასჯაც აღარ დასჭირდეთ, მგონი, ვინაიდან მათი მორალური ტანჯვა განუსაზღვრელი იქნება.

ჩვენ რა შუაში ვართო — გაგიკვირდებათ ალბათ. თქვენ რომ მამუკასათვის მოგევლოთ, დაგეპატიმრებინათ, მეორე მხარეც დაინახავდა ამას და ანგარიშსწორებაც არ იქნებოდა ასე სასტიკი და ულმობელი.

მამუკა წამებულად დაიღუპა, მაგრამ ისინიც ხომ დაღუპულები არიან, ვინც ხელყო მამუკას სიცოცხლე, რა შეგიძლიათ უპასუხოთ მის უბედურ მშობლებს. იქნებ არაფრადაც გიღირთ, ვინაიდან მკვლელობა ქუთაისში მოხდა. არა, ეს თქვენ მოკალით მამუკა. ეს თქვენ დაღუპეთ მკვლელებიც.

ისე, კაცმა მართალი რომ თქვას, მარტო თქვენც არ ხართ დამნაშავე..

მე ბრალს ვდებ მთელ სოფელს! რატომ არავინ ითავა, რომ ამ ორ ოჯახს შორის საქმე მშვიდობიანად დამთავრებულიყო? მარტო ცრემლები კმარა, რომლითაც გულწრფელად დაიტირეს მამუკა?! არა, არ კმარა, ხალხო!

მამუკას ბავშვური სული ალბათ ყველასგან ითხოვს პასუხს.

გულგრილობას, უყურადღებობას, თავის შეუწუხებლობას ყოველთვის მძიმე შედეგი მოსდევს. მამუკა ხომ რეციდივისტი, მკვლელი, ქურდი არ იყო. ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მასზე ზემოქმედება და გამოსწორება შეიძლებოდა.

ე. ხეცურიანი.

### წერილი ონის რაიონიდან

## მადლობა მშენებლებს

დაკვირვებული, ბრძენი და შორსმჭვრეტელი ქართველის ნათქვამი „წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია" პირდაპირ მიესადაგება რაჭაში შექმნილ დღევანდელ ვითარებას.

ისტორიულად ცნობილია, რომ რწმენამ, სიყვარულმა და თანადგომამ იხსნა ერიცა და ქვეყანაც განადგურებისაგან. ასე იყო წინათ და საბედნიეროდ ასეა ახლაც. სწორედ სიყვარულმა და მხარში ამოდგომით დახმარების უდიდესმა სურვილმა განაპირობა, რომ სტიქიით დანგრეული რაჭა თუმცა ნელა, მაგრამ ძალ-ღონეს იკრებს და საიმედოდ დგება ფეხზე.

მადლობის სიტყვები ცოტა იქნება იმ გრძნობის გამოსახატავად, რომელიც „კავშირგაბმშენის" სამმართველოს კოლექტივის მიმართ გააჩნია ჩემს ოჯახს. მე, პენსიონერ, ინვალიდ, ხანშიშესულ კაცს აბა სად მქონდა იმის ძალა და საშუალება, რომ სტიქიისაგან დანგრეული სახლი საკუთარი ძალებით აღმედგინა, მაგრამ იმედად და შემწედ ზემოთაღნიშნული სამმართველოს (მმართველი ა. ჩალაძე), მექანიზაციის სამმართველო (უფროსი გ. მახარობლიძე), ბრიგადის წევრები — ცაგერის მკვიდრნი გიგლა, შიო, გენადი ვაჩაძეები, გიორგი მახარობლიძე, ვლადიმერ ახვლედიანი მომევლინენ. მათ მთელი მონდომებითა და ერთგულებით იმუშავეს ჩემი სახლის აღდგენაზე და შრომის ნაყოფთან ერთად დიდი სითბო და სიყვარული დატოვეს.

ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა. მე აბა რა შემიძლია მადლიერების გამომხატველი სიტყვების გადმოცემის გარდა, მაგრამ გჯეროდეთ, თითოეული თქვენგანი არასოდეს არ დამავიწყდებით. ესეც ხომ სწორია: „მადლი ქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგხვდებაო" — რომ უთქვამთ. გჯეროდეთ, თქვენ იმდენი მადლი და სიკეთე გაიღეთ, მისი დავიწყება არ შეიძლება.

კოსტა სამხარაძე.

სოფ. ღარი.

№110 (6487) 15 ნოემბერი 1991წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

# ასპარეზობენ ნორჩები

ცაგერის სტადიონზე ამა წლის 2 ნოემბერს ჩატარდა რაიონის საშუალო და არასრული სკოლების მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა მძლ-ს მრავალჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ 13—14 წლის ასაკის ნორჩი სპორტსმენები.

რბენა 60 მეტრზე. გოგონათა შორის პირველი იყო ხათუნა კვირკაშვილი, ერთნაირ დროში გაირბინეს და მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს აზა ახვლედიანმა და მანანა ლეთოდიანმა (ჩხუტელის, ცაგერის საშუალო და ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლებიდან).

ამავე სახეობაში პირველი იყო ჭაბუკებს შორის თემურ კალანდაძე, მეორე ადგილზე გამოვიდა ოტია ლიპარტელიანი (ორივე ცაგერის საშუალო სკოლა).

კროსი 100 მეტრზე. ფინიშთან პირველი მივიდა ხათუნა კვირკაშვილი, მეორე შედეგი აჩვენა ხათუნა მეგრელმა, ხოლო მესამე იყო ინეზა კოპალიანი (ჩხუტელის, ორბელის და ბარდნალის საშუალო სკოლები).

კროსი 1500 მეტრზე ჭაბუკებს შორის ყველას აჯობა გელა მეშველიანმა, მეორე შედეგი აჩვენა ბადრი კოპალიანმა, ხოლო მესამე ადგილი გაინაწილა თემურ კალანდაძემ (ჩხუტელის საშუალო, ლუხვანოს არასრული საშუალო და ცაგერის საშუალო სკოლები).

150 გრამიანი ბირთვის ტყორცნაში გოგონათა შორის პირველი იყო მარინე ლეთოდიანი. ერთნაირი შედეგი აჩვენეს და მეორე-მესამე ადგილი გაიყვეს ხათუნა მეგრელმა და ხათუნა კვირკაშვილმა (ლუხვანოს არასრული საშუალო, ორბელის და ჩხუტელის საშუალო სკოლები).

ამავე სახეობაში ერთნაირი შედეგი ჰქონდათ და პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს ოტია ლიპარტელიანმა და ლევან ბახსოლიანმა (ცაგერისა და ორბელის საშუალო სკოლები).

შეჯიბრებამ გამოავლინა გუნდური ადგილები. 89 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი ჩხუტელის საშუალო სკოლამ. მას ერთი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გამოვიდა ორბელის საშუალო სკოლა, ხოლო 80 ქულით მესამე ადგილზე არის ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის ნორჩი მრავალჭიდელები.

შეჯიბრების მონაწილე პირველებს და გუნდებს გადაეცა შესაბამისი ხარისხის სიგელები და დიპლომები.

**ჯ. შკუბულიანი,**
სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე

# ძვირფასო მკითხველო!

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი" ყოველთვის იყო თქვენი ერთგული მეგობარი, იგი ცდილობდა თქვენთვის საინტერესო, აქტუალურ თემებზე მოეწოდებინა მასალები. შეძლებისდაგვარად აესახა დღესდღეობით საქართველოში მიმდინარე პროცესები. როგორ შევძლებთ ეს ყველაფერი-ეს უკვე თქვენი განსჯის საქმეა. ჩვენ კი ჩვენის მხრივ იმედს ვიტოვებთ საბჭოთა მანეთების ინფლაციის დროსაც, როცა მაქსიმალურად გაიზარდა მოთხოვნილება, ხოლო მინიმალურამდე დაეცა ფულის მსყიდველობითი უნარი, მაინც ჩვენი გაზეთის ერთგულ ხელმომწერთა სიაში დარჩებით.

გამოიწერეთ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი".

ჩვენ გვაქვს თქვენი თანადგომის იმედი!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია.

# ხსოვნა

გურგენ ახვლედიანს



უკვე მეშვიდე თვე დაიწყო, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ, ჩვენო საყვარელო და ერთადერთო ძმაო გურგენ.

რა თავზარი დაგვცა თავზე შენს სამ დას შენმა სიკვდილმა. დავდივართ თვალცრემლიანი, რაღაა ჩვენი სიცოცხლე უშენოდ, აღარაფერი აღარ არსებობს ჩვენთვის.

ძმაო, როგორ ხარობდი და ეტრფოდი შენს შვილიშვილებს თიკოსა და ლევანს, რამდენ სიკეთეზე ოცნებობდი მათთვის, მაგრამ, ვაი, რომ არ დაგცალდა.

საბედისწერო შეიქნა შენთვის 27 აპრილი. რა მწარეა ეს შემოდგომა უშენოდ, მარად დაუვიწყარო, ჩვენო ახალგაზრდობაშიც დაჩაგრულო და გაუხარელო ძმაო, გურგენ!

დები—ეთერი, ნაზიკო, ნათელა, სიძეები კარლო, სიმონი.

---

მეუღლე გულნაზი, დედა მარო, მამა დავითი, შვილები სოფიკო, ზურაბი, ძმა გელა, დები მაგული, ნელი, ძმისშვილები ნანა, ნათია, ნინო, გიორგი, დისშვილები დათო, მირანდა, შორენა, ამირანი, მირიანი, სიძეები ნოდარ ყურაშვილი, შოთა სილაგაძე, სიმამრი ვასო ლეთოდიანი, ცოლისდები მაყვალა, ნორა, ნინო ლეთოდიანები, მამიდები, დეიდები, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ზაურ დავითის ძე ჩიქვაიძე**
დაკრძალვა 16 ნოემბერს, შაბათს სოფ. ჩქუმში.

---

ალვის სოფლის საკრებულოს, საექიმო უბნის, კლუბ-ბიბლიოთეკის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მედიკო და გივი ახვლედიანებს დედისა და სიდედრის
**ნადია ხეცურიანი-ირემაძის**
გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნორა და ჯუმბერ ბენდელიანებს ბიძის
**სარდიონ ქურასპედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

შურმან ჯიაძე, ედიშერ ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მაგული და ნოდარ ყურაშვილებს ძმისა და ცოლისძმის
**ზაურ ჩიქვაიძის**
გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების მუშაკები თანაუგრძნობენ ლუარა და ჯიმშერ ლიპარტელიანებს დეიდაშვილის
**ზაურ დავითის ძე ჩიქვაიძის**
გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ვახტანგ ნემსწვერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ზაურ ჩიქვაიძე**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ვაჟა, ქენია, მერი, რძლები ნადია, გულიკო, ლალი, მელანო, სიძეები პიმენ სანიკიძე, ტუღული კოძოევი, როლანდ საპანაძე, ჟორა სვანიძე, შვილიშვილები ნანული, ტარიელი, ფრიდონი, ციცო, რობიზონი, შვილთაშვილები მამუკა, როსტომი, სოსო, ნუგზარი, ნანა, მარიკა, სოფიკო, სალომე, ზურიკო, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ლიდა გრიგოლის ასული ბაქრაძე-ჯილესაშვილი.**
დაკრძალვა 17 ნოემბერს კვირას, სოფ. საირმეში.

---

და მერი, ძმები გრიშა, დადუ, რძლები ლია, მარგო, სიძე გიორგი მამარდაშვილი, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ოთარ სერგოს ძე ახვლედიანი**
დაკრძალვა 19 ნოემბერს სამშაბათს ხონის რაიონის სოფ. ივანდიდში.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის II-IV კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მარინე ირემაძე თანაუგრძნობენ ზურაბ ჩიქვაიძეს მამის
**ზაურ დავითის ძე ჩიქვაიძის**
გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ჟორა, ზაურ ყურაშვილები, ჯანიკო ფოჩიანი თანაუგრძნობენ მაგული, ნოდარ ყურაშვილებს
**ზაურ ჩიქვაიძის**
გარდაცვალების გამო.

---

რომან ობოლაძე, ნუგზარ ხეცურიანი, ნუგზარ ხვადაგიანი, ამირან ალავიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ლუდიკო ივანეს ასული გოქაძე-ახვლედიანი**

---

ჭიჭიკო ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ზაურ დავითის ძე ჩიქვაიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნაზიკო ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება
**სარდიონ ქურასპედიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა ჯიბო, ძმისშვილები დათო, ნატო, გია, რძალი გულნარა ბურჯალიანი, ნინო ნემსწვერიძე, სიძე ტარიელ მამასახლისი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გრიშა კიმოთეს ძე ახვლედიანი**
დაკრძალვა 17 ნოემბერს, კვირას, სოფ. უცხერში.

---

ალუდა ზურაბიანი, რეზო მურცხვალაძე, გია, ნოდარ კოპალიანები, ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, სოსო ფანჯავიძე, რამინ გულბანი, იური ლარცულიანი, შალვა, საშა თუთისანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ანზორ ნემსაძის ოჯახს
**ოთარ შოთას ძე ბახტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მერი და გიორგი მამარდაშვილებს ძმისა და ცოლისძმის
**ოთარ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რეზო, ავთანდილ, ანზორ, იური, ვაჟა, ბიძინა ახვლედიანები, ანზორ, გურამ ტვილდიანები, კუკური, ბიჭიკო ნემსწვერიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გრიშა კიმოთეს ძე ახვლედიანი**

---

საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ქენია სანიკიძეს დედის
**ლიდა ჯილესაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---

ლუხვანოს საკრებულოს, კულტურის დაწესებულებების, არასრული საშუალო სკოლის, ზარაგულისა და სალეთოდიანოს დაწყებითი სკოლების, საბავშვო ბაღის, ზარაგულისა და ზედა ლუხვანოს საფერშლო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა ლეთოდიანს სიძის
**ზაურ დავითის ძე ჩიქვაიძის**
გარდაცვალების გამო.

---

ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მერი ახვლედიანს ძმის
**ოთარ სერგოს ძე ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ფატიმა გავჩის ასულ ტვილდიანს**
**რომან ეგნატეს ძე ზურაბიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძემლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. იხარეთ და იმრავლეთ. გფარავდეთ ღმერთი აწ და მარადის.

**ნინო, დათო, ხათუნა, ნუგზარ დავითულიანები, გურგენ დავითულიანი ოჯახით.**

---

**ლია ჭაბუკიანს**
**ზარდენ სვანიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას და სიხარულს.

**იოსებ ჩარკვიანი ოჯახით.**

---

## გილოცავთ

**ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს**

გილოცავთ შვილის, ელისოს ბედნიერებას. ბედნიერი გზით ევლოთ მათი ცხოვრების მანძილზე.

**ავთო სალინაძე ოჯახით.**

---

**ლელა, დათო, ჟუჟუნა, ჯანსულ ხეცურიანებს**

გილოცავთ შვილის და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**ლუდუკი, მურმან, ავდიდო ხეცურიანები, ბადრი ქომეთიანი ოჯახებით.**

---

**დადაში, თალიკო, მალედი, მამუკა სალინაძეებს**

გილოცავთ შვილიშვილისა და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი. შესძენოდეთ მრავალი და-ძმა.

**თინა, გივი ბურჯალიანები ოჯახით.**

---

**რუსუდან და ჯუმბერ გოგიძეებს**

გილოცავთ შვილების მარინესა და მირზას ბედნიერებას. იმრავლონ, იხარონ და იბედნიერონ. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

**დიტო გოგიძე, კობა კოპალიანი, ნუგზარ ჭაბუკიანი ოჯახებით.**

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.